**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაგოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაგოვის სახლეში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** ...ერთი ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ცტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სიცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1878 წელს გაზეთი

## „დროება“

**გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.**

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

**მომავალ წელსაც „დროება“ მუდამ დღე გამოვა,**

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

**ხელის მოწერა**

თფილისში—„მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაგოვის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба“.*

**ფასი გაზეთისა**

| | | |
|---|---|---|
| მთელის წლისა | 8 მან. | „ კაპ. |
| ექვსის თვისა | 4 „ | 50 „ |
| ოთხის თვისა | 3 „ | „ „ |

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება.

უქორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: **ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქციაა უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

# ტელეგრამმები

### ბრძოლის ველიდამ

(ოფიციალური)

**ეკატერინოდარი,** 2 იანვარს. დღეს დილის 10 საათზე ოსმალოს ჯავშნიანი ხომალდი მოადგა ზღვით ანაპას (ყირიმში) და დაუშინა ზარბაზნები. ორი საათისა და ათი მინუტის განმავალობაში მტერმა 80 ყუმბარა გამოისროლა ქალაქისაკენ; ეკკლესია და რამდენიმე სახლები დაზიანებულია; 1 სალდათი და 1 ცხენი მოკვდა. ჩვენმა ნახევარ ბატარეიამ (4 ზარბაზანმა) 30 ყუმბარა გაისროლა.

**სილვი,** 1 იანვარს. აზიმ-ფაშის ჩვენებით, ჩვენგან დატყვევებულს შიპკის არმიაში ითვლება 25.000 კაცი, ამათში სამი გენერალი, 360 აფიცერი; რამდენიმე ბაირაღი და 60 ზარბაზანი.

**ვენა,** 1 იანვარს. სტამბოლში ხალხის ღელვა თან-და-თან ძლიერდება; სამინისტრო გამოსცვალეს, მთავარ ვეზირად ახმედ ფაშა დაინიშნა. აქ დარწმუნებული არიან, რომ ადრიანოპოლსა და ფილიპოპოლს მალე აიღებენ რუსები.

**ლონდონი,** 2 იანვარს. დერბიმ გამოუცხადა ოსმალეთს, რომ ინგლისი ამ ბრძოლაში ვერ დაეხმარება იმას.

**ოდესსა,** 30 დეკემბერს. დღეს ოსმალოს ორი ჯავშნიანი ხომალდი მიუახლოვდა ევპატორიას (ყირიმში) და ორი საათის განმავლობაში გაუწყვეტლად უშენდა ზარბაზნებს; სულ 135 ყუმბარა გამოისროლეს. შვიდი კაცი დაჭრილი გვყავს.

**ლონდონი,** 2 იანვარს. „Daily Telegraph“-ს აცნობებენ სტამბოლიდამ, რომ დ. მ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თხოვნით ყაზანლიყში უნდა გაგზავნოს ოსმალეთმა ორი დანდობილი პირი მორიგებაზედ მოსალაპარაკებლად. ოსმალეთმა ამ საგნისათვის დანიშნა სერვერ და ნემიკ-ფაშა.

შაბათს რუსებმა დაიჭირეს ემინ-ზაგრა, რომელიც ოსმალოებმა დასწვეს და ისე მიატოვეს.

**შიპკა,** 2 იანვარს. გუშინ დავათვალიერე შიპკის პოზიციები და მხოლოთ ახლა ვსცან, რა გაჭირება უნდა გამოევლო გმირულ შიპკის ატრიადს. დავათვალიერე და მადლობა უძღვენ ჩვენს მარჯვე ჯარებსა და იმათ გმირ წინამძღოლს გენ. რადეცკის. შემდეგ დავბრუნდი ყაზანლიყში.

**ლონდონი.** 2 იანვარს. სტამბოლიდამ მოვიდა ამბავი, რომ სულთანმა დაამტკიცა დროებით მორიგების პირობები: სერვერ-ფაშამ მისწერა მუზურუს ფაშას (ლონდონში), დერბის სთხოვოს, რომ რუსეთს მოელაპარაკოს მორიგების შესახებ. დერბიმ შეუთვალა, რომ რუსეთი გარეშე ქვეყნის შუამდგომლობაზე არ დათანხმდებაო. გუშინ სერვერ-ფაშამ ნაციონალურ კრებაში წარმოსთქვა: რომ ჩვენი მეცადინეობა, რომ ევროპას ჩვენს საქმეში მიეღო მონაწილეობა უნაყოფოთ დარჩაო, ჩვენ მარტონი დავრჩით; ამის გამო მტერთან დროებით მორიგება უნდა ვეცადოთ და შემდეგ საბოლოოთ მორიგება. კრებამ მოიწონა სერვერ-ფაშის აზრი.

# საქართველო

### ჩვენი ქალაქის გამგეობას

„ძმა ძმისთვისაო და ამ დღისთვისაო“! ამბობს ჩვენი ხალხი ყოველთვის, როცა ვისმე რაიმე გაჭირვება მიადგება. ამ სიტყვებით მივმართავთ ჩვენ ახლა ჩვენს ქალაქის გამგეობას.

თქვენ ხედავთ, რომ ქალაქში წარმოუდგენელი სიძვირე ჩამოვარდა ყოველ გვარის საგნისა, რაც ცხოვრებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს; ხედამთ, რომ ხალხი დიდს გაჭირვებაში ჩავარდა, რომ იმას გაუჭირდა ლუკმა-პური დამშეული სტომაქის გასაძღომად და ფიჩხი შეშა გაციებული სხეულის გასათბობად; ხედავთ, რომ ეს ხალხი, რომელმანც თავის მზრუნველად ამოგარჩიათ, რომლის მდგომარეობა თქვენ ვალდებული ხართ რითაც შეგიძლიანთ შეამსუბუქოთ, რომლის ოფლითა და შრომით თქვენ და ყველას ჩვენ სული გვიდგია, ხედავთ, რომ ეს ხალხი სიცივისა, შიმშილისა და ამათგან წარმომდგარ სხვა-და-სხვა ავათმყოფობისაგან იხოცება.

ხედავთ, და ძალიან გვიკვირს, რომ ხელსაც არ ანძრევთ, ყურსაც არ იბერტყთ, თითქო ყველა ეს სრულებით თქვენ არ შეგეხებათ!

კარგათ უნდა იცოდეთ, რომ ის გახშირებული ავაზაკობა და ქურდობა, რომელიც ასე გვაწუხებს ამ ჟამად ქალაქში, ამავე სიძვირისა და შიმშილისაგან არიან წარმომდგარნი.

ერთის სიტყვით, ყველა ჩვენ ეხლანდელ გაჭირვებას ერთი საფუძველი, ერთი მიზეზი აქვს და თქვენ, ვითარცა ქალაქის წარმომადგენლებს, ვითარცა ხალხის მზრუნველთ, მოვალეობა გაწევთ, რომ ეს მიზეზი ხალხის გაჭირვებისა შეამსუბუქოთ და დაეხმაროთ იმათ, ვინც თქვენ მოგანდოთ თავის ბედი, ვინც ამოგირჩიათ ქალაქის მოწინავე, წარმომადგენელ კაცებად.

თქვენ ბევრის გაკეთება, ბევრის მხრით დახმარება შეგიძლიანთ ამ შემთხვევაში: რისგან წარმოსდგა ეს სიძვირე? იმდენათ ომისგან არა, როგორც სხვა-და-სხვა უსინდისო ჩარჩებისა და ვაჭრებიდგან, რომელნიც სარგებლობენ მხოლოთ ომიანობით: დადიან სოფლებში და აქვე მოედნებზე და მოტყუებითა და გაიძვერობით ყიდულობენ და მერე, როცა დრო მოვა, ერთი-ორად, ერთი-სამად ასაღებენ.

მართალია, ქალაქის ხაზინა ისეთი მდიდარი არ არის, რომ თავის შეძლებით დაეხმაროს ხალხს ამ მდგომარეობაში. მაგრამ ეს საჭიროც არ არის; საჭიროა მხოლოდ უფრო მომეტებული ენერგია, განკარგულება, ყურადღების მიქცევა ბაზრებზე და არა კანცელარიაში ჯდომა დილიდამ საღამომდინ და ფორმალური ქაღალდების წერა.

და თუ სხვა საშუალება, ვსთქვათ, ფული დაჭირდებათ, ესეც შეგიძლიანთ იშოვნოთ ან სესხით ანუ სხვა რომელიმე წყაროდამ.

საჭიროა მხოლოდ, კიდევ ვიმეორებთ, ხელების განძრევა და ენერგია; თუ ამას მოახერხებთ, თუ ჩვეულებრივ თქვენ წვრიმალ საგნებზედ გაჭიანურებულს ბაასს მიატოვებთ და ცოტათ მაინც უფრო მხნეთ მოჰკიდებთ ამ საქმეს ხალსა.—ძალიან ადვილათ შეგიძლიანთ დაეხმაროთ ხალხსა ამ გაჭირვებაში და მით დაიმსახუროთ თქვენის ამომრჩევლებისაგან საუკუნო მადლობა.

„ძმა ძმისთვისაო და ამ დღისთვისაო.“

ს. მ.

---

## დღიური

*** შობა-ახალწლის დღესასწაულებმა მშვიდობიანათ, შეუშფოთებლად ჩაიარა ჩვენს ქალაქში. რასაკვირველია, რამდენიმე ალაგს მუშტი-კრივი გაიმართა, ქუჩებში ბევრი დამთვრალი და გადაკრული ხალხი დაბარბაცებდა, ერთი-ორი ჩხუბი და ხანჯლების გაქნევაც მოხდა, რამდენიმე ქურდობა და ავაზაკობა,—მაგრამ ყველა ეს ჩვენში სრულებით ჩვეულებრივ მოვლენად შეიქმნა და ამიტომ ამისთანა რამ აღარ გვაკვირვებს.

ერთი რამ კი შევნიშნეთ და ეს შენიშნა ადვილად ასახსნელია, თუ კი წარმოვიდგენთ ახლანდელს სიძვირესა და ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას: მთვრალები წელს ჩვეულებრივზე უფრო მომატებული იყო, ვინემ კვლავ ამ დღესასწავლებში; უდარდელი ზურნის ხმა, ლაზათიანი ქეიფი უფრო ნაკლებათ.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფილისის და ქუთაისის ადმინისტრაციაში შემდეგი ცვლილება ხდება: ახლანდელი ტფილისის გუბერნატორი ბარონ-ოსტენ-საკენი ინიშნება კავკასიის დამოქნის უწყების უფროსად; იმის ადგილზე ტფილისში გუბერნატრად ნიშნავენ, როგორც ისმის, ქუთაისის ვიცე-გუბერნატორს თ. შაგარინს. ქუთაისის პოლიცმეისტრად დაინიშნა უეზდის უფროსის თანაშემწე უფ. აგიევსკი.

*** ახალციხიდამ გვწერენ, რომ მთელს ჩვენს და ახალ-ქალაქის უეზდში ისე საშინლად არის გავრცელებული ყვავილი და ისე ეკიდება ყმაწვილებსაო, რომ დღე არ გავა, რომ თითქოს ყოველ სოფელში ორი-სამი ყმაწვილი არ იმსხვერპლოს ამ ავათმყოფობამ; განსაკუთრებით ხერთვისში და იმის ახლომახლო სოფლებში მოსდებია თურმე მძვინვარედ.

კორრესპონდენტი მიაქცევს ჩვენს ყურადღებას იმ გარემოებაზედ, რომ ამისთანა დროში ჩვენკენ ექიმები და ყვავილის ამცრელები სრულიად არ არიან და ვინც არიან, ისინიც ყურსაც არ იბერტყენო; არც ადგილობრივი მთავრობა იწუხებს ამისთვის თავსაო.

---

# ომის ამბები

## აზიის ბრძოლის ველიდამ

გაზეთს „Presse“-ში დაბეჭდილია 23 გასულ ქრისტეშობისთვეს ტფილისიდამ მიღებული შემდეგი დეპეშა:

„რუსის ჯარებმა დაიჭირეს სოფ. ილჯა. არზრუმი ამ ჟამად ყოველის მხრით გარსშემორტყმულია რუსებისაგან. სამხედრო რჩევამ გადაწყვიტა, რომ იერიშით არ მიეიდნენ არზრუმის ასაღებად, არამედ შიმშილით დაიმორჩილონ ქალაქი და იმისი გარნიზონი.“

—

„ვოლფის სააგენტოში“ იწერებიან 21 დეკემბერს არზრუმიდამ:

„რუსები თან-და-თან აგროვებენ თავის ჯარს ჩვენს (არზრუმის) გარშემო სოფლებში. აქედამ ვხედავთ ჩვენ იმათ მოძრაობას დევე-ბოინისაკენ. დღეს დილით რუსის ოთხმა ბატალიონმა ქვეითა ჯარმა და ერთმა პოლკმა ცხენოსანმა დაიჭირეს სოფ. ოკნა ტრაპიზონის გზაზედ.“

—

ზემოხსენებულსავე გაზეთში სტამბოლიდამ იწერებიან, რომ მუხთარ-ფაშამ არზრუმის ჯარის უფროსობა ჰუსეინ-ტხსინ-ფაშას ჩააბარა და ისე გამოვიდა არზრუმიდამაო. მუხთართან ერთად ერზინგიანის არმიაში წასულა აგრეთვე შამილის შვილი—ყაზი-მაჰომა.

---

# ფელტონი

## ლეგენდები დაღესტნის მთიულებისა *)

### VI

### პირველი შეცოდება

დაღესტნელების აზრით, შეცოდებამდინ ადამ და ევას სხეული დაფარული იყო ქერქლით, რომლის დანარჩენს ჩვენ ეხლაც ვხედავთ თითების ბოლოებზე, ფრჩხილების მზგავსად.

ამას გარდა ადამ და ევას სხეულის აგებულებაში არ იყო ეხლანდელი კანონი საჭმლის მონელებისა: მაშინ საჭმელი გვამში იქცეოდა ხოლმე ორთქლად, რომელსაც ჰქონდა მშვენიერი საამური სუნი. შესჭამეს თუ არა აკრძალული ხილი, ქერცლი პირველ ხალხს ჩამოსცვივდათ მთელ ტანიდამ; დარჩათ მხოლოდ ხელების და ფეხების თითების ბოლოებზედ თითო-თითო ქერცლი, სახსოვრად შეცოდებისა. ამ დროსვე ჭამის მონელებაც გაჩნდა.

დაინახეს რა ეს საკვირველი მოვლენა და ცვლილება აგებულებაში, ადამ და ევამ, შიშით თავ-ზარ დაცემულებმა, წაივლეს ხელი სხეულის სხვა და სხვა ნაწილებზედ; ამ დროს ის ადგილები, სადაც ხელი წაივლეს, შეემოსათ თმით... როცა ამ დროს გამოეცხადათ ანგელოზი ჯაბრაილი და ჰკითხა მიზეზი, ადამ და ევამ მიუგეს, რომ ეს... ასე... ასე იყო...

რადგანაც თმა ტანზედ არის ნიშანი შეცოდებისა, ამიტომ მაჰმადმა სხეულის განსაწმენდათ დაიწყო ამ თმის მოშორება თავის სხეულიდამ, და აგრეთვე სხვებსაც უთხრა, ვისაც სურდესთ მიბაძონ ამის მაგალითს.

—

### მაჩალახელების ცხვრები

ყაზიყუმუხში არის პატარა სოფელი, მაჩალახი. ამ სოფლის ახლოს მომხდარა შემდეგი შემთხვევა:

როდისლაც, „კავკასიაში ზულკურნაის

მუხთარ-ფაშა ამ ჟამად როგორც ჩვენი გაზეთის წარსულ ნომერშიაც იყო მოხსენებული, სტამბოლშია და იმის მოადგილეთ დანიშნულია ქურთი იზმაილ-ჰაკკი-ფაშა.

—

ლონდონის გაზეთს „Daily News"-ში მოყვანილია შემდეგი დეპეშა 20 დეკემბერს სირიდამ მიღებული:

„ოსმალოების საქმე არზრუმთან ძალიან ცუდად არის. რუსები ოლთისიდამ და ბაიბურთიდამ გარს-უვლიან ამ ქალაქს. საშინელი სიცივეებია აქეთკენ.

ამ დღეებში თვითონ დიდი მთავარი და ღენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვი იყვნენ დევე ბოინში და 15 ბათალიონი ჯარი 12 ზარბაზნით მიიყვანეს კიდევ ყარსიდამ.

„მლოხებს აკეთებინებენ ჯარისა და ზარბაზნებისთვის გზებს; დღეში იმათ 30 პიასტრს (10 კაპ.) აძლევენ. არზრუმლები დღე-დღეზედ მოელიან მტრის თავსდასხმას; მაგრამ ჯერ-ჯერობით მაგრად არიან."

—

ერთის უცხო ქვეყნის გაზეთის გამოანგარიშებით, ოსმალეთს შავს ზღვაზედ სულ 13 სამხედრო ხომალდი ჰყავს, რუსეთს კი 6 ხომალდი და 12 ლალმის საფეთქი ნავი (კატერი).

—

გაზეთს „Обзоръ"-ს მოსვლია ამბავი, ვითომც ოსმალოს მთავრობის განკარგულებით, ოსმან-ფაშა თავდგირიძე დაეთხოვაღებინოსთ ქობულეთში და აქედამ ბათუმში გაეგზავნოსთ. ამის მიზეზად, გაზეთის სიტყვით, ის მოყავთ თურმე, რომ ოსმალეთის მთავრობამ ეჭვი აიღოვო, რომ ამ ფაშამ თვითონაც რუსებს დაუწყო თანაგრძნობა და ქობულეთლებსაც ურჩევს იმათ მიმხრობასაო.

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

აი როგორ აგვიწერს "პოლიტიკურ კორრესპონდენციის„ ბუხარესტელი კორრესპონდენტი იმ ციხე-ქალაქების რუსჩუკის, სილისტრიის და ვარნისა და შუმლის მდგომარეობას, რომელთაც აღებასაც უნდა შეუდგნენ ბალკანიის მთებს გადმოღმა დარჩენილი რუსის—მემკვიდრისა და ღენ. ციმერმანის—ჯარები:

„თითონ ღენ. ტოტლებენმა სთქვა, ამბობენ, რომ რუსჩუკის აღება ძალიან ძნელი იქნებაო, რადგან იმის ყოველის მხრით შემოკვრა თითქმის შეუძლებელი არისო. სულეიმან ფაშის სიტყვით, რუსჩუკში იმდენი სურსათია ამ ჟამად მოგროვილი, რომ ექვსი თვის განმავლობაში ეყოფა იქ დაყენებულ გარნიზონს და ხალხსაო. თუ ეს მართალია, მაშინ, უეჭველია, რომ რუსებს დიდ ხანს მოუნდებათ რუსჩუკთან გაჩერება, თუ კი იერიშით არ მიიღებენ ამ ციხის აღებას; მაგრამ ეს ერთობ ბევრ მსხვერპლს მოითხოვს და ვინ იცის როგორ გათავდება.

„ვევე ითქმის სილისტრიაზედაც. ამ უკანასკნელ დროს მართლაც ძალიან ბლომათ მიზიდეს ოსმალეებმა სურსათი და საომარი მასალები ყველა ციხეებში და ამ მხრით მგონი იმათ დაბრკოლება არ ექმნებათ.

„ყველაზე უფრო სუსტად გამაგრებული ვარნა არის რადგან ამ ქალაქისათვის ოსმალოებს თითქმის არავითარ ყურადღება არ მიუქცევიათ.

„მაგიერად შუმლაზე შეიძლება ნამდვილად სთქვას კაცმა, რომ ეს მტრისგან მიუვალი ციხე არისო. ეს ქალაქი ადრეც იყო გამაგრებული და კარგ ალაგსაც მდებარეობს; ახლა კიდევ უფრო გაამაგრეს, რადგან ქალაქს გარეთაც ააშენეს ციხეები და ლოჟემენტები."

—

რუმელიის (ადრიანოპოლის) ოსმალოს ჯარის მთავარ-სარდალი სულეიმან-ფაშა გადაუყენებიათ და მთავრობას სტამბოლში მოუხმია. ამბობენ რომ მის მოადგილეთ ისევ მეჰმედ-ალი-ფაშას ნიშნავენ.

—

ჩვენი და სერბიის ჯარები ამ ჟამად სოფიაშა იმყოფებიან. უეჭველია, რომ ესენი აქედამ ადრიანოპოლისაკენ არ გაიწევენ, სანამ საკმაო ძალა არ შეემატებათ და იმედი არ ექნებათ, რომ აიღებენ ამ ქალაქს, სადაც, როგორც ამბობენ, ოსმალოები ასი ათასზე მეტს ჯარს აგროვებენ მტრის დასახვედრათაო.

## მორიგების თაობაზე

სტამბოლელი კორრესპონდენტი „Politische Correspondenz"-ის შემდეგ დეპეშას იწერება 24 დეკემბერს:

„ოსმალეთის მმართებლობამ წარუდგინა გერმანიის ელჩს თ. რეისს შემდეგი პირობები მორიგებისა და თან სთხოვა იმას, რომ რუსეთთან შუამდგომლობა გაეწია ამ საგნის შესახებ:

„ოსმალეთი დაუთმობს რუსეთს ბათუმს და მთელს მაზრას ბათუმიდამ მოყოლებით ბაიაზეთამდის; ამ წრეში შევა არტაანი, ყარსი და ბაიაზეთიცა. ოსმალეთი თანახმაა, რომ არზრუმის ციხეები დაანგრიოს. ბოსფორის და დარდანელის წყლები მარტო ოსმალეთისა და რუსეთის ხომალდებისათვის იქნება თავისუფალი. ბოლგარიას მიენიჭება უფრო მომეტებული თავისუფლება (ავტონომია); იმის ღუბერნატორად დაინიშნებიან პორტისაგან ქრისტიანები.

— მომეტებული ნაწილი ოსმალოს (სტამბოლის) სომხები, როგორც „Голосъ„-ის კორრესპოდენტი იწერება, ძალიან გახარებული არიან თურმე იმ გარემოებით, რომ რუსებმა მცირე აზიაში გაიმარჯვეს. ხმა-მაღლა ვერ აცხადებენ, მაგრამ გულში კი ის იმედი აქვთ ამათ ახლაო, რომ ან სულ უნდა განთავისუფლდეს სომხეთი, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შეიქმნეს და ან რუსეთის იმპერიის უნდა შეუერთდესო.

# განცხადებანი

რასპორიადიტელნი კომიტეტი საზოგადოებისა, რომელსაც სავნად აქვს თბილისის საქალო გ მნაზიისა და პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლე მზრუნველობა, უმორჩილესად სთხოვს ამ საზო-

---

(ალექსანდრე მაკედონელის) მოსვლამდის", სამი კაცი, მაჩალახელები, მიდიოდნენ რაღაც საქმისთვის მახლობელ სოფელში. ისინი მიუახლოვდნენ ერთ გამოქვაბულ ადგილს და დაინახეს შიგ სამი უცხო კაცები, რომლებიც ისხდნენ და ახალ მოკლულ ირმის ხორცს შეექცეოდნენ.

მგზავრებმა მიიპატიჟეს მგზავრები, მაჩალახელები.

სანამ ახალი სტუმრები ჭამას დაიწყობდნენ, ერთმა მასპინძელთაგანმა უთხრა იმათ, რომ ხორცი რეერთიც უნდათ, მიირთვან, მხოლოდ იმ პირობით, რომ ძვლებს ნუ გადაყრიან, მიუმატონ იმ ძვლების ხროვას, რომელიც იქვე დაელაგებინათ.

ორმა მგზავრმა შეასრულა ეს პირობა; მესამემ კი სასაცილოდ და ხუმრობად მიიღო; ამისათვის იმან გახრა-გამოხრა ერთი ძვალი და გადააგდო ისე შორს, რომ ვერც კი დაინახეს, რა ალაგას დაეცა.

უცნობები ძრიელ გაჯავრდნენ. ისინი ადგნენ, შეაერთეს ყველა ძვლები, ჩაყარეს ირმის ტყავში და გაანძრ-გამოანძრიეს. რა მოხდა?! ტყავი ძვლებით გახორციელდა და ცოცხალი ირემი კოჭლობით გაიქცა გამოქვაბულიდამ.

— ხო ხედავთ, რა ჰქნა ამ კაცმა? საცოდაობა, რაც მიაყენა მაგან ამ ირემს, გადავიდეს თქვენი სოფლის ცხვრებზედ; ამის შემდეგ ყველა თქვენი ცხვრები დაიბადოს კოჭლები; იმათ ტანშიც აკლდეს ის ძვალი, რომელიც აკლია ამ ირემს! დაიწყევლა ერთმა გაჯავრებულმა უცხოთაგანმა.

დღესაც მაჩალახელების ცხვრებს ატყვიათ ეს წყევლა: ყველანი კოჭლობენ ცალი ფეხით...

ლეგენდა ამბობს, რომ ეს სამი უცნობი იყვნენ ღვთისგან გამოგზავნილი წმინდანებიო.

— მე —

*) „დროება", 1877 № 227

გადოებების წევრთა, რომ დროით შემოიტანონ მომავალის 1878 წლის ხვედრი ფული, როგორათაც ამას საზოგადოების უსტავის მეოთხე პარაგრაფი მოითხოვს. ფული უნდა ჩაჰბარდეს საზოგადოების კაზნაჩეის, ვახტანგ დიმიტრის ძეს თულაშვილს, თბილისის ოკრუჟნი სუდში, დილის 10-ს სათიდამ ნაშუადღევს 2-ს სათამდე.

---

# გაკვეთილები

ფრანცუზულის ენისა. პრაქტიული და თეორიული სწავლა. გრამატიკა და ლაპარაკი ფრანცუზულს ენზედ.

მსურველს შეუძლიან მიმართოს ქუთაისში, უფ. ზაქარია პანდელაკის სადგომში.

---

მიეცემა

# სასესხებელი ფული

იმ პირობით რომ მოვალემ მუდამ კვირას ანუ თვეში გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა ბულაკოვსკისთან-ვორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, ვარშავის ფეხსაცმლის მაღაზია, ში, მუდამ დღე დილის 9 სათიდამ ნაშუადღევს პირველ სათამდინ.

---

### კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობით და შაბათობით 12 სა თიდან 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12მდი—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვი:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ დ-ვირანობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორების: რემერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობა არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფმა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

---

### ქართული სახალხო სიმღერები

შეგროვილი და გამოცემული

ზაქ. ჭიჭინაძისაგან.

წიგნი პირველი.

ფასი ყველგან ერთი შაური

---

გაზეთი **ივერია** გამოვა 1878 წელს იმავე სახით, იმავე პროგრამით და ისევ კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ფასი ერთის წლისა, გაგზავნით თუ გაუგზავნელად, შვიდი მანეთია.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, „ივერიის“ რედაქციაში, რომელიც მდებარეობს მთაწმინდის ქუჩაზედ, შიოევის სახლების ზემოდ, ქანანოვის სახლში, სახლი № 5.

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

თბილისის გარედ მცხოვრებთა შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი „ივერია“ ამ ადრესით: *Въ Тифлисъ, въ редакцію газеты ИВЕРІЯ.*

---

ხელის-მოწერა 1878 წლისა.

# „თფილისის მოამბე“

წელიწადი მეექვსე

1878 წელს „თფილისის მოამბე“ გამოვა მუდამ დღე გარდა უქმი დღეების შემდეგ დღეებისა.

**ხელ-მოსაწერი ფასი**

| | გაუგზავნ. | გაგზავნით თფილისში | რუსეთში |
|---|---|---|---|
| ერთი წლით — — — — — | 10 მან. | 11 მან. | 12 მან. |
| 6 თვით — — — — — | 5 „ 50 კაპ. | 6 „ | 6 „ |
| 3 — — — — — — | 3 „ — „ | 3 „ 50კაპ. | 4 „ |
| 1 — — — — — — | 1 „ — „ | 1 „ 25 „ | 1 „ 50 კ. |

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში, ერევნის მოედანზე, № 3 უ თავ-ადთ კრედიტი ბანკის გვერდით.

ქალაქის გარეშე ხელის-მომწერნი ამ ადრესით მოიწერებიან: *Въ Тифлисъ, въ редакцію „Тифлисскаго Вѣстника.“*

ხელის-მოწერა მიიღება ყოველი თვის 1 რიცხვიდამ მხოლოთ წლის დამლევამდინ.

ქალაქის ხელის-მომწერლებმა ამას გარდა შაურიანი მარკის ფული უნდა შემოიტანონ.

---

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 41 | | | [illegible] | 73 | 4 | 29 |
| აბ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 13 | | | | | | |
| აბ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | [illegible] | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოზურ. და სამშ.—სპარსკ. და ოსმ. პარასკ—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ოთშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 29 დეკემბ. | | |
| ერთი ვანჯთი ლიოს: | | |
| ლონდონში 23 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 248 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½ | |
| ბანკის ბილეთი 5%. | 95 | |
| მოგებიანი (პირველი სესხ.) | 227 | |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 205 | |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ფილ. სახზნ. ბანკისა. | | |
| ხერსონის ბანკის ( ) | 85 | 25 |
| მოსკოვის ( ). . . | 85 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემებ. | 527 | — |
| კავკასიის და მერკურის | 225 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | - |

| მაზანდა | მ. | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 2 იანვარს | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 2 | 20 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 80 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 9 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 10 | — |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 12 | — |
| მატყლი თუშური ფუ. | 7 | 70 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | 90 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 80 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 14 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 72 |
| —ცხვრისა, ლიტრა . | — | 72 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 15 |
| შაქარი, გოლც. ფუთი . | 9 | 20 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 8 | 40 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 28 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 14 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 8 | 20 |

*Дозволено цензурою Тифлисъ, 3 Января 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი